



EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS  
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

© ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2013. წინამდებარე თარგმანი შესრულებულია ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა სატრასტო ფონდის ხელშეწყობით ([www.coe.int/humanrightstrustfund](http://www.coe.int/humanrightstrustfund)). სასამართლოსათვის იგი სავალდებულო ხასიათს არ ატარებს. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ სავტორის უფლებების სრული მიმოხილვა მოცემული დოკუმენტის ბოლოს.

© Council of Europe/European Court of Human Rights, 2013. This translation was commissioned with the support of the Human Rights Trust Fund of the Council of Europe ([www.coe.int/humanrightstrustfund](http://www.coe.int/humanrightstrustfund)). It does not bind the Court. For further information see the full copyright indication at the end of this document.

© Conseil de l'Europe/Cour Européenne des Droits de l'Homme, 2013. La présente traduction a été effectuée avec le soutien du Fonds fiduciaire pour les droits de l'homme du Conseil de l'Europe ([www.coe.int/humanrightstrustfund](http://www.coe.int/humanrightstrustfund)). Elle ne lie pas la Cour. Pour plus de renseignements veuillez lire l'indication de copyright/droits d'auteur à la fin du présent document.

მეორე სექცია

საქმე ილდირიმი თურქეთის წინააღმდეგ  
(განაცხადი #3111/10)

გადაწყვეტილება

სტრასბურგი

18 დეკემბერი, 2012

*ეს გადაწყვეტილება საბოლოოა, თუმცა შესაძლოა დაექვემდებაროს სარედაქციო შესწორებებს.*

**საქმეზე ილდირიმი თურქეთის წინააღმდეგ,**

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ (მეორე სექცია)

შემდეგი შემადგენლობით:

გვიდო რაიმონდი, *პრეზიდენტი,*

დანიუტე ჟოსიენე,

დრაგოლუბ პოპოვიჩი,

ანდრას შაიო,

ისილ კარაკასი,

პაულ პინტო დე ალბუკერკე,

ელენ კელერი, *მოსამართლეები*

და სტენლი ნაისმიტი, *სექციის მდივანი,*

2012 წლის 20 ნოემბერს ითათბირა და ამავე დღეს მიიღო წინამდებარე გადაწყვეტილება:

**პროცედურა**

1. საქმის წარმოების დაწყების საფუძველს წარმოადგენს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის (“კონვენცია”) 34-ე მუხლის საფუძველზე თურქეთის მოქალაქის, აჰმედ ილდირიმის (“განმცხადებელი”) მიერ 2010 წლის 12 იანვარს თურქეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ [ადამიანის უფლებათა ევროპული] სასამართლოსთვის წარდგენილი განაცხადი (#. 3111/10).

2. განმცხადებელს წარმოადგენდა ქალბატონი ა. კაიმაკი, იზმირში მოღვაწე ადვოკატი. თურქეთს (“მოპასუხე სახელმწიფო”) წარმოადგენდა სახელმწიფო წარმომადგენელი.

3. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ ეროვნული სახელმწიფო ორგანოების ბრძანების საფუძველზე მის ვებ-გვერდზე წვდომის დაბლოკვა უტოლდებოდა კონვენციის მე-6, მე-7, მე-10 და მე-13 მუხლების და 1-ელი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლით დაცული მისი უფლებების გაუმართლებელ დარღვევას.

4. 2011 წლის 31 იანვარს განაცხადი გადაეგზავნა მოპასუხე სახელმწიფოს. ამავდროულად გადაწყდა განაცხადის დასაშვებობისა და არსებითად ერთდროულად განხილვა (მუხლი 29.1)

5. განმცხადებელმა წარადგინა მომდევნო წერილობითი მოსაზრება (სასამართლოს რეგლამენტის 59.1 მუხლი). მესამე

მხარის კომენტარებიც იქნა წარმოდგენილი ასოციაციისგან “ღია საზოგადოების მართლმსაჯულების ინიციატივა”, რომელსაც პრეზიდენტმა დართო წერილობით წარმოებაში ჩართვის უფლება (კონვენციის 36.2 და [რეგლამენტის] 44.2 მუხლი).

## ფაქტები

### I. საქმის გარემოებები

6. განმცხადებელი დაიბადა 1983 წელს და ცხოვრობს სტამბულში.

7. განმცხადებელს საკუთრებაში და მართვაში აქვს ვებ-გვერდი (<http://sites.google.com/a/ahmetyildirim.com.tr/academic/>), რომელზეც ის აქვეყნებს საკუთარ აკადემიურ ნაშრომებს და მოსაზრებებს სხვადასხვა საკითხზე. ვებ-გვერდი შექმნილია Google Sites-ის ვებ-გვერდის შექმნისა და ჰოსტინგის მომსახურების გამოყენებით (<http://sites.google.com/>).

8. 2009 წლის 23 ივნისს დენიზლის სისხლის სამართლის პირველი ინსტანციის სასამართლომ, ინტერნეტ პუბლიკაციებისა და ინტერნეტ-დანაშაულებთან ბრძოლის შესახებ #5651 კანონის 8.1.ბ მუხლის საფუძველზე შემდეგი ვებ-გვერდის დაბლოკვა ბრძანა:

<http://sites.google.com/site/kemalizminkarinagrisi/benimhikayem/ataturk-koessi/at> (შემდეგში “დარღვევების შემცველი ვებ-გვერდი”). ბრძანება წარმოადგენდა აღკვეთის ღონისძიების ფორმას, გვერდის მესაკუთრის (რომელსაც ბრალად ედებოდა ათათურქის ხსოვნის შეურაცხყოფა) წინააღმდეგ წარმოებული სისხლის სამართალწაროების ფარგლებში.

9. იმავე დღეს #5651 კანონის 8.3 მუხლის საფუძველზე ბლოკირების შესახებ ბრძანების ასლი აღსასრულებლად გაეგზავნა ტელეკომუნიკაციისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების დირექტორატს (“TİB”).

10. 2009 წლის 24 ივნისს TİB-ის მოთხოვნით დენიზლის სისხლის სამართლის პირველი ინსტანციის სასამართლომ დააზუსტა 23 ივნისის გადაწყვეტილება და გასცა Google Sites-ზე ყოველგვარი წვდომის ბლოკირების ბრძანება #5651 კანონის მე-8 მუხლის საფუძველზე. TİB-მა მიუთითა, რომ ეს იყო დარღვევების

შემცველი ვებ-გვერდის დაბლოკვის ერთადერთი საშუალება, ვინაიდან მის მესაკუთრეს არ ქონდა სერვერის სერტიფიკატი და საზღვარგარეთ ცხოვრობდა.

11. TIB-მა 2009 წლის 24 ივნისს, აღასრულებდა რა ბრძანებას, დაბლოკა ყოველგვარი წვდომა Google Sites-ზე და შესაბამისად განმცხადებელს აღარ შეეძლო საკუთარ ვებ-გვერდზე შესვლა. მისი ყველა შემდგომი მცდელობა გამოესწორებინა მდგომარეობა, ამას იყო, დაბლოკვის შესახებ სასამართლოს ბრძანების გამო.

12. 2009 წლის 1 ივლისს განმცხადებელმა მოითხოვა დაბლოკვის შესახებ 2009 წლის 24 ივლისის ბრძანების გაუქმება მის ვებ-გვერდთან მიმართებით. ის აღნიშნავდა, რომ იყენებდა ამ ვებ-გვერდს საკუთარი აკადემიური ნაშრომების და სხვადასხვა საკითხზე მოსაზრებების გამოქვეყნებისთვის და ამ ღონისძიებამ აუკრძალა მას ყოველგვარი წვდომა გვერდზე, რომელსაც არანაირი კავშირი არ ქონდა გვერდთან, რომელიც უკანონო შინაარსის გამო დაიბლოკა. უფრო კონკრეტულად კი ის ამტკიცებდა, რომ ამ ღონისძიების მოქმედების სხვა ვებ-გვერდებზე გავრცელების თავიდან ასაცილებლად უნდა შერჩეულიყო მეთოდი, რომელიც მხოლოდ დარღვევების შემცველ ვებ-გვერდს გახდიდა მიუწვდომელს. მან მაგალითად მოიყვანა ვებ-გვერდის URL-ის დაბლოკვა.

სასამართლოსთვის წარდგენილ წერილობით მოთხოვნას განმცხადებელმა დაურთო იმ ვებ-გვერდის ასლი, რომელიც ჩნდებოდა ყოველ ჯერზე, როდესაც ის საკუთარ ვებ-გვერდზე შესვლას ცდილობდა (<http://sites.google.com/a/ahmetyildirim.com.tr/academic/>). გაფრთხილების შემდეგი ტექსტი ჩნდებოდა:

“ტელეკომუნიკაციისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების დირექტორატი აღასრულებს დენიზლის სისხლის სამართლის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 24 ივნისის ბრძანებას აღკვეთის ღონისძიების სახით ამ ვებ-გვერდთან (sites.google.com) მიმართებით.”

13. 2009 წლის 13 ივლისს დენიზლის სისხლის სამართლის სასამართლომ არ დააკმაყოფილა განმცხადებლის მოთხოვნა. მიუთითა რა TIB-ის რეკომენდაციაზე, მან მიიჩნია, რომ დაბლოკვის შესახებ ბრძანების თანახმად დარღვევების შემცველი ვებ-გვერდზე წვდომის აკრძალვის ერთადერთ გზას წარმოადგენდა <http://sites.google.com> -ზე რომელზეც განთავსებული იყო სადავო ვებ-გვერდი, წვდომის სრული დაბლოკვა.

14. 2012 წლის 25 აპრილს განმცხადებელმა წერილობით შეატყობინა [ადამიანის უფლებათა ევროპულ] სასამართლოს, რომ კვლავ არ ქონდა წვდომა ვებ-გვერდზე, მიუხედავად იმისა, რომ როგორც მისთვის იყო ცნობილი დარღვევების შემცველი ვებ-გვერდის მესაკუთრის მიმართ სისხლის სამართლის საქმის წარმოება შეწყდა 2011 წლის 25 მარტს, საზღვარგარეთ მცხოვრები პირის იდენტიფიცირებისა და მისი საცხოვრებელი ადგილის დადგენის შეუძლებლობის გამო.

## II. შესატყვისი ეროვნული კანონმდებლობა

### A. 2007 წლის 4 მაისის # 5651 კანონი, რომელიც არეგულირებს ინტერნეტ-პუბლიკაციებს და ინტერნეტ-დანაშაულთან ბრძოლას

15. # 5651 კანონის შესაბამისი ნაწილები:

#### მუხლი 2 განმარტებები

“(1) ამ კანონის მიზნებისთვის,...

(e) წვდომის პროვაიდერი (*erişim sağlayıcı*) [ნიშნავს] ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელიც მომხმარებელს აწვდის ინტერნეტს;

(f) შინაარსის პროვაიდერი (*içerik sağlayıcı*) [ნიშნავს] ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელიც ქმნის, ცვლის ან აწვდის ინტერნეტ-მომხმარებლებს ნებისმიერი სახის ინფორმაციას ან მონაცემებს;

...

(ğ) ინტერნეტ პუბლიკაცია (*yayın*) [ნიშნავს] მონაცემებს, რომელზეც წვდომა შეიძლება ქონდეთ განუსაზღვრელი რაოდენობის პირებს;...

(I) პუბლიკაცია (*yayın*) [ნიშნავს] ინტერნეტში გამოქვეყნებას;

...”

#### მუხლი 4 შინაარსის პროვაიდერის პასუხისმგებლობა

“(1) შინაარსის პროვაიდერი პასუხისმგებელია მის მიერ ინტერნეტში გავრცელებულ შინაარსზე.

(2) შინაარსის პროვაიდერი პასუხს არ აგებს იმ შინაარსზე, რომელიც სხვას ეკუთვნის და მასზე წვდომა შესაძლებელია მათ მიერ მოწოდებული ბმულით...

...

### მუხლი 5

#### ჰოსტინგის მომსახურების პროვაიდერის პასუხისმგებლობა

“(1) ჰოსტინგის მომსახურების პროვაიდერებს შესაძლოა არ მოეთხოვოთ მათ მიერ გამოქვეყნებული შინაარსის მონიტორინგი ან იმის მტკიცება, ეს წარმოადგენს თუ არა უკანონო მოქმედებას;

(2) მათი სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, ჰოსტინგის პროვაიდერები, რომელთაც ამ კანონის მე-8 და მე-9 მუხლების თანახმად ეცნობა მათთან გამოქვეყნებული შინაარსის უკანონო ხასიათის შესახებ, ვალდებული არიან შეწყვიტონ გამოქვეყნება, რადგანაც სწორედ მათ აქვთ ამის ტექნიკური შესაძლებლობა.”

### მუხლი 6

#### წვდომის პროვაიდერის პასუხისმგებლობა

(1)(a) როდესაც კანონით დადგენილი წესის თანახმად ინფორმირებული არიან მომხმარებლების მიერ არაკანონიერი შინაარსის გამოქვეყნების შესახებ, წვდომის პროვაიდერები ვალდებული არიან დაბლოკონ წვდომა უკანონო შინაარსზე, იმის გათვალისწინებით, აქვთ თუ არა მათ ამის ტექნიკური შესაძლებლობა.

...

(2) წვდომის პროვაიდერი არ არის ვალდებული მონიტორინგი განახორციელოს იმ შინაარსსა და ინფორმაციაზე, რაზე წვდომასაც ის უზრუნველყოფს.

...

### მუხლი 8

#### დაბლოკვის შესახებ ბრძანებები და მათი აღსრულება

“(1) დაბლოკვის შესახებ ბრძანება (*erisimin engellenmesi*) გაიცემა ინტერნეტ-გამოცემასთან მიმართებით, როდესაც არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ მათი შინაარსი წარმოადგენს ჩამოთვლილთაგან ერთერთ დანაშაულს:

(a) სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულები:

(1) თვითმკვლელობამდე მიყვანა (მუხლი 84)

(2) მცირეწლოვანთა მიმართ გარყვნილი ქმედება (მუხლი 103.1)

(3) ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების ხელშეწყობა (მუხლი 190)

(4) ჯანმრთელობისთვის საშიში პროდუქციის მიწოდება (მუხლი 194)

(5) უხამსობა (მუხლი 226)

(6) პროსტიტუცია (მუხლი 227)

(7) აზარტული თამაშების ჰოსტინგი

(b) ათათურქის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები 1951 წლის 25 ივლისის # 5816 კანონის თანახმად.

...

(2) დაბლოკვის შესახებ ბრძანებას გასცემს მოსამართლე, თუ საქმეზე გამოძიება მიმდინარეობს, ან სასამართლო - თუ პირს ბრალი წაეყენა. გამოძიების მიმდინარეობისას დაბლოკვის შესახებ განკარგულება შეიძლება გასცეს სახელმწიფო პროკურორმა, საქმეებზე, რომლებზეც გაჭიანურებამ შესაძლოა საზიანო შედეგები მოიტანოს. ეს განკარგულება ოცდაოთხი საათის განმავლობაში უნდა წარედგინოს მოსამართლეს, დასამტკიცებლად. მოსამართლემ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს მომდევნო ოცდაოთხი საათის განმავლობაში. თუ ის არ დაამტკიცებს წვდომის აკრძალვას, ეს ღონისძიება შესაბამისად პროკურორმა უნდა მოხსნას. აღკვეთის ღონისძიების სახით გაცემული დაბლოკვის შესახებ ბრძანებები შეიძლება გასაჩივრდეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმების შესაბამისად (კანონი #5271).

(3) დაბლოკვის შესახებ მოსამართლის, სასამართლოს ან პროკურორის ბრძანება ეგზავნება [ტელეკომუნიკაციისა და ინფორმაციული ტექნოლოგიის] დირექტორატს აღსასრულებლად.

(4) როდესაც შინაარსის პროვაიდერი ან ჰოსტინგის მომსახურების პროვაიდერი საზღვარგარეთ არის, დაბლოკვის შესახებ ბრძანებას გასცემს დირექტორატი საკუთარი შუამდგომლობით. შემდეგ [ბრძანება] აღსრულების მოთხოვნით უნდა გადაეცეს წვდომის პროვაიდერს.

(5) დაბლოკვის შესახებ ბრძანება უნდა აღსრულდეს დაუყოვნებლივ, ან მისი შეტყობინებიდან არაუგვიანეს ოცდაოთხი საათისა.

...

(7) თუ გამოძიება დასრულდება გადაწყვეტილებით, სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, დაბლოკვის შესახებ ბრძანება ავტომატურად უნდა გაუქმდეს...

(8) როდესაც სასამართლო განხილვა გამართლებით სრულდება, დაბლოკვის შესახებ ბრძანება ავტომატურად უნდა გაუქმდეს...

(9) თუკი არაკანონიერი შინაარსი მოიხსნება, დაბლოკვის შესახებ ბრძანების მოქმედება უნდა შეწყდეს..."

16. ტელეკომუნიკაციისა და ინფორმაციული ტექნოლოგიის დირექტორატი (TİB) დაფუძნდა პოლიციის უფლებამოსილებისა და ვალდებულებების შესახებ #2559 კანონის მე-7 მუხლის საფუძველზე; ამ კანონში ცვლილებები შევიდა 2005 წლის 3 ივლისს, #5397 კანონით. როგორც ადმინისტრაციულ ორგანოს, სხვა ამოცანებთან ერთად [მას] ევალება ტელეკომუნიკაციის საშუალებებით ინფორმაციის გავრცელების ფიქსაცია და მონიტორინგი.

17. პრაქტიკაში როდესაც სასამართლო ბრძანებს კონკრეტულ ვებ-გვერდზე წვდომის დაბლოკვას, ეს ბრძანება გადაეცემა TIB-ს აღსასრულებლად. თუკი შინაარსის მიმწოდებელი ან ჰოსტინგის მომსახურების მიმწოდებელი საზღვარგარეთ არის, #5651 კანონის 8.3 და 8.4 მუხლის თანახმად TIB-მა შესაძლოა დაბლოკოს შუალედური მომსახურების მიმწოდებლის გვერდებზე წვდომა. შესაბამისად, დაბლოკვის შესახებ ბრძანების მიღების შედეგია არა მხოლოდ იმ ვებ-გვერდის დაბლოკვა, რომელთან მიმართებითაც მიმდინარეობს სისხლის სამართალწარმოება; სადაო ინტერნეტ დომენზე განთავსებულ მთელს შინაარსზე წვდომა შესაძლოა გახდეს დაბლოკვის საგანი. შესაბამისად დომენები, როგორც არის Blogspot.com, Blogger.com, Google groups, Myspace.com და YouTube.com ბლოკირების ბრძანების სამიზნეები აღმოჩნდა საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდით, იმ ვებ-გვერდების გამო, რომლებისთვისაც მათი მეშვეობით უზრუნველყოფილი იყო ჰოსტინგი.

18. #5651 კანონის 2.1 მუხლის მნიშვნელობისთვის ცნება “პუბლიკაციაც” ასევე გახდა დავის საგანი სამართლებრივი კომენტარების ავტორებს შორის. ზოგიერთი კომენტატორის აზრით ქვეპუნქტი „გ“, რომლის თანახმადაც “ინტერნეტ-პუბლიკაციის” კონცეფცია მოიცავს “მონაცემებს, რომელზე წვდომაც შესაძლებელია ინტერნეტის მეშვეობით განუსაზღვრელი რაოდენობის ადამიანებისთვის”, წინააღმდეგობაში მოდის იმავე მუხლის 1-ელ ქვეპუნქტთან, რომელშიც გაცხადებულია, რომ “პუბლიკაცია (*yayın*) ნიშნავს პუბლიკაციას ინტერნეტში”. სირთულეს ქმნის მინიშნება “მონაცემებზე, რომელზეც წვდომა შესაძლებელია ინტერნეტის მეშვეობით”, რაც ვრცელდება ნებისმიერი სახის მონაცემებზე, რომელიც გადაიცემა ინტერნეტით.

### III. საერთაშორისო სამართალი და პრაქტიკა

#### A. ევროპის საბჭო

##### 1. კიბერდანაშაულის შესახებ კონვენცია

19. კიბერდანაშაულის შესახებ კონვენცია (ETS No. 185), რომელიც 2004 წლის 1 ივლისს შევიდა ძალაში, მომზადებულია ევროპული საბჭოს წევრი ქვეყნების, კანადის, იაპონიის, სამხრეთ



აფრიკისა და ამერიკის შეერთებული შტატების მიერ. კონვენცია ეხება კიბერდანაშაულების სფეროში ჩადენილ სხვადასხვა სახის სამართალდარღვევებს: მოქმედებები კონფიდენციალობის, სანდოობის და კომპიუტერულ მონაცემთა და სისტემების ხელმისაწვდომობის წინააღმდეგ, კომპიუტერული თაღლითობა და გაყალბება, შინაარსთან, განსაკუთრებით ბავშვთა პორნოგრაფიასთან დაკავშირებული სამართალდარღვევები და საავტორო უფლებებისა და მასთან დაკავშირებული უფლებების დარღვევასთან დაკავშირებული სამართალდარღვევები (II თავი, 1-ელი ნაწილი, 1-4 თავები).

## 2. მინისტრთა კომიტეტი

### (ა) დეკლარაცია CM(2005)56, საბოლოო რედაქცია

20. ინფორმაციულ საზოგადოებაში ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის შესახებ მინისტრთა კომიტეტის დეკლარაციის (CM(2005)56 final of 13 May 2005) პრეამბულით აღიარებულია, რომ “[საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICTs)] წვდომის შეზღუდვით ან აკრძალვით პირს შესაძლოა ჩამოერთვას თავისი უფლებებით სრულად სარგებლობის შესაძლებლობა”. დეკლარაციის პირველი თავი სახელწოდებით “ადამიანის უფლებები ინფორმაციულ საზოგადოებაში” შეიცავს შემდეგ დებულებებს:

“1. უფლება გამოხატვის, ინფორმაციისა და კომუნიკაციის თავისუფლებაზე

საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები ყველასთვის ქმნის უპრეცედენტო შესაძლებლობებს გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობისთვის. თუმცა, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები უპრეცედენტო შესაძლებლობებს ქმნის ყველასთვის გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობისთვის, ამასთან საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები ამ თავისუფლებას მნიშვნელოვან გამოწვევებს უქმნის, როგორც არის სახელმწიფო და კერძო ცენზურა.

გამოხატვის, ინფორმაციისა და კომუნიკაციის თავისუფლებას პატივი უნდა ეცეს როგორც ციფრულ ისე არაციფრულ გარემოში და მხოლოდ იმ საფუძვლით რომ ის ციფრული ფორმით არსებობს, არ უნდა დაექვემდებაროს შეზღუდვებს, გარდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით დაშვებული შეზღუდვებისა.

გამოხატვის თავისუფლების გარანტიების შექმნისას წევრმა ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ უკანონო შინაარსის. მაგალითად რასიზმის, რასობრივ ნიადაგზე დისკრიმინაციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის

ამკრძალავი კანონმდებლობა იმოქმედებს დანაშაულებზე, რომლებიც ჩადენილია საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მეშვეობით.

წევრმა ქვეყნებმა უნდა შეინარჩუნონ და გააძლიერონ სამართლებრივი და პრაქტიკული ღონისძიებები სახელმწიფო და კერძო ცენზურის თავიდან ასაცილებლად...”

**(b) 203 წლის 28 მაისის დეკლარაცია**

21. [წევრ] სახელმწიფოთა მინისტრთა მოადგილეების 840-ე შეხვედრაზე მინისტრთა კომიტეტის მიერ 2003 წლის 28 მაისს მიღებული “ინტერნეტ-სივრცეში კომუნიკაციის თავისუფლების დეკლარაციის” პრეამბულაში გაცხადებულია, რომ ინტერნეტ-კომუნიკაციის წინასწარი კონტროლი საზღვრებს გარეშე უნდა დარჩეს გამონაკლისად და არსებობს ინტერნეტზე ინდივიდუალურ წვდომაზე ბარიერების მოხსნის აუცილებლობა. დეკლარაცია ასევე *inter alia*, ამკვიდრებს შემდეგ პრინციპს:

“... ”

პრინციპი 1: შინაარსის წესები ინტერნეტისთვის

წევრმა ქვეყნებმა ინტერნეტში გამოქვეყნებული შინაარსი არ უნდა დაუქვემდებარონ შეზღუდვებს, იმაზე მეტად ვიდრე შინაარსის გადმოცემის სხვა საშუალებებთან მიმართებით გამოიყენება.

... ”

პრინციპი 3: წინასწარი სახელმწიფო კონტროლის არ არსებობა

სახელმწიფო ორგანოებმა ზოგადი ბლოკირებისა და ფილტრის ღონისძიებებით არ უნდა მოუსპონ საზოგადოებას ინტერნეტის მეშვეობით ინფორმაციაზე და სხვა სახის კომუნიკაციაზე წვდომა, საზღვრებს მიღმა. ეს არ გამორიცხავს ფილტრების ინსტალაციას მცირეწლოვანთა დასაცველად, კერძოდ კი მათთვის ხელმისაწვდომ ადგილებში, როგორც არის სკოლა ან ბიბლიოთეკები.

იმ პირობით თუ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ კონვენციის 10.2 მუხლით განსაზღვრული გარანტიები დაცულია, შესაძლებელია გატარდეს ზომები ნათლად გამოკვეთილი ინტერნეტ-მასალის მოსახსნელად, ან ალტერნატივის სახით მასზე წვდომის დასაბლოკად, თუკი შესაბამისმა ეროვნულმა ორგანოებმა მიიღეს წინასწარი ან საბოლოო გადაწყვეტილება [შინაარსის] უკანონობაზე.

... ”

22. დეკლარაციის განმარტებით ბარათში წარმოდგენილია შემდეგი კომენტარი მე-3 პრინციპთან დაკავშირებით:

“წინასწარი სახელმწიფო კონტროლის არ არსებობა

ეს პრინციპი ხაზს უსვამს ინტერნეტში საჯაროდ მოძიებად [ინფორმაციაზე] წინასწარი სახელმწიფო კონტროლის არ არსებობის მნიშვნელოვნებას. ზოგიერთ ქვეყანაში არსებობს პოლიტიკური მიზეზებით კონკრეტულ უცხოურ და ადგილობრივ ვებ-გვერდებზე არსებულ შინაარსზე მოსახლეობის მხრიდან წვდომის ბლოკირების ტენდენცია. სახელმწიფოს მხრიდან წინასწარი კონტროლის ეს და მსგავსი პრაქტიკა მკაცრად უნდა აიკრძალოს.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფომ არ უნდა მიიღოს ფართომასშტაბიანი ზომები არასასურველი შინაარსის დასაბლოკად, გამონაკლისები უნდა დაიშვას მცირეწლოვანთა დასაცავად. იქ სადაც მცირეწლოვნებს აქვთ წვდომა ინტერნეტზე, მაგალითად სკოლები და ბიბლიოთეკები, სახელმწიფო ორგანოებმა შესაძლოა მოითხოვონ კომპიუტერებზე ფილტრების ინსტალაცია ზიანის მომტან შინაარსზე წვდომის ბლოკირებისთვის.

სახელმწიფოს მხრიდან წინასწარი კონტროლის არ არსებობა რა თქმა უნდა არ გამორიცხავს იმ ზომებს, რომლებიც მიიღება ინტერნეტიდან შინაარსის მოსახსნელად ან მასზე წვდომის დასაბლოკად მისი უკანონობის შესახებ კომპეტენტური ეროვნული ორგანოების წინასწარი ან საბოლოო გადაწყვეტილების საფუძველზე, რაც შეიძლება ეფუძნებოდეს არა მხოლოდ სისხლის სამართალს, არამედ ასევე სამართლის სხვა სფეროებს, როგორც არის სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართალი. ეს ტიპიურად იქნება საქმე, სადაც აკრძალვები მიმართულია უკანონო შინაარსის ინტერნეტში გამოქვეყნების თავიდან აცილებისკენ. ასეთი ზომები, რაც შესაძლოა გულისხმობდეს გარკვეული სახის წინასწარ კონტროლს, უნდა აკმაყოფილებდეს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის 10.2 მუხლის მოთხოვნებს და უნდა იყოს მიმართული ნათლად გამოკვეთილ ინტერნეტ-შინაარსზე.”

**(c) რეკომენდაცია CM/Rec(2007)16**

23. 2007 წელს მინისტრთა კომიტეტმა მიიღო რეკომენდაცია CM/Rec(2007)16 ლონისძიებებზე, ინტერნეტში საჯარო მომსახურების ღირებულების გასაძლიერებლად. მეორე და მესამე თავები, სათაურით “წვდომა” და “ღიაობა”, უშუალოდ ეხება ინტერნეტზე წვდომას და დასაშვებ შეზღუდვებს.

**(d) რეკომენდაცია CM/Rec(2007)11**

24. 2007 წელს მინისტრთა კომიტეტმა მიიღო რეკომენდაცია CM/Rec(2007)11 ახალ საინფორმაციო და კომუნიკაციის გარემოში გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლებაზე.

**(e) რეკომენდაცია CM/Rec(2008)6**

25. 2008 წელს მინისტრთა კომიტეტმა მიიღო რეკომენდაცია CM/Rec(2008)6. ამ რეკომენდაციის დანართში განსაზღვრულია ინტერნეტ-ფილტრების გამოყენებისა და კონტროლის სახელმძღვანელო წესი - კერძოდ კი მათი სრულად გამოყენებისა და გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლების უფლებით სრულად სარგებლობის უზრუნველსაყოფად.

**(f) რეკომენდაცია CM/Rec(2012)3**

26. 2012 წლის 4 აპრილს მინისტრთა კომიტეტმა მიიღო რეკომენდაცია CM/Rec(2012)3 საძიებელთან მიმართებით ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებით. რეკომენდაციის 1-ელ პარაგრაფში *inter alia* მითითებულია, რომ “საძიებო მექანიზმები შესაძლებელს ხდის მსოფლიო მოსახლეობისთვის მოიძიონ, მიიღონ და გაავრცელონ ინფორმაცია და იდეები და სხვა შინაარსი, ცოდნის მისაღებად, დებატებში ჩასართველად და დემოკრატიულ პროცესებში მონაწილეობისთვის”.

**B. ევროპული კავშირი****(a) რეკომენდაცია 2008/2160(INI)**

27. 2009 წლის 26 მარტს ევროპული პარლამენტის მიერ მიღებული რეკომენდაციაში 2008/2160(INI), პირდაპირ გაცხადებულია, რომ სახელმწიფოები უნდა ერთვებოდნენ ინტერნეტზე სრული და უსაფრთხო წვდომით ელექტრონული დემოკრატიის დამკვიდრების პროცესში. შესაბამისად პარლამენტმა რეკომენდაცია გაუწია წევრ ქვეყნებს, რომ მათ დაგმონ ინტერნეტ-გვერდებზე მოძიებად შინაარსზე ხელისუფლების მიერ დაწესებული ცენზურა და მოუწოდა მათ “უზრუნველყოთ, რომ გამოხატვის თავისუფლება არ დაექვემდებარება თვითნებურ შეზღუდვებს საჯარო ან/და კერძო სფეროდან და თავიდან იქნება აცილებული ყველა საკანონმდებლო ან ადმინისტრაციული ზომა, რასაც შეიძლება ‘შემზღუდავი გავლენა’ ქონდეს გამოხატვის თავისუფლების ყველა ასპექტთან მიმართებით”.

(b) საქმე *Scarlet Extended SA v Société belge des auteurs, compositeurs et éditeurs SCRL (SABAM)* (ევროპული კავშირის მართლმსაჯულების სასამართლო)

28. საქმე C-70/10, რომელიც განიხილა ევროპული კავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ (CJEU), ეხებოდა ბელგიის სასამართლოს წინასწარ გადაწყვეტილებას, რომლითაც ინტერნეტ პროვაიდერს მოეთხოვა მუდმივი მონიტორინგის სისტემის ინსტალაცია, რითაც დაიბლოკება ყველა ონლაინ აქტივობა, რამაც შეიძლება შელახოს ინტელექტუალური საკუთრების უფლებები.

29. 2011 წლის 24 ნოემბრის გადაწყვეტილებით CJEU-მ დაადგინა, რომ ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებების მქონე პირებს უნდა ქონდეთ შესაძლებლობა, მიმართონ აკრძალვების მოთხოვნით იმ შუალედური რგოლების წინააღმდეგ, რომლებიც მესამე პირების მხრიდან დაცული ნაშრომების დარღვევის ან ქსელში სხვა ობიექტების 'მატარებლები' არიან და ასეთი აკრძალვების რეგულირება ეროვნული კანონმდებლობის ამოცანა უნდა იყოს. თუმცა ეროვნული კანონმდებლობით დაცული უნდა იყოს ის შეზღუდვები, რომლებიც გამომდინარეობს ევროპული კავშირის კანონიდან და კონკრეტულად კი ელექტრონული ვაჭრობის შესახებ დირექტივიდან 2000/31/EC, რომელიც უკრძალავს ეროვნულ ორგანოებს ისეთი ზომების მიღებას, რითაც ინტერნეტ-მომსახურების მიმწოდებლებს მოეთხოვებათ ქსელში გავრცელებულ ინფორმაციაზე ზოგადი მონიტორინგის განხორციელება. CJEU-მ მიიჩნია, რომ წინამდებარე საქმეზე მიღებული აკრძალვის მსგავსი აკრძალვები არ აკმაყოფილებს სამართლიან ბალანსს ერთი მხრივ ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებასა და მეორე მხრივ ბიზნესის წარმოების თავისუფლებას, პირადი ინფორმაციის დაცვის უფლებასა და ინფორმაციის მიღების ან სხვისთვის გადაცემის თავისუფლებას შორის. შესაბამისად [სასამართლომ] დაადგინა, რომ ევროპული კავშირის სამართალი, კონკრეტულად კი დირექტივა 2000/31/EC და შესაბამისი ძირითადი უფლებები გამორიცხავს დავალებას, რომელიც შეიძლება დადგინდეს ინტერნეტ-მომსახურების მიმწოდებელზე, რომ მან უზრუნველყოს ფილტრის სისტემის დაყენება ყველა ელექტრონულ კომინიკაციაზე, რომელიც მისი მომსახურებით გადაიცემა და რომელიც ყველა მის მომხმარებელზე ვრცელდება განურჩევლად, როგორც პრევენციული ღონისძიება, ექსკლუზიურად მისი ხარჯით და შეუზღუდავი პერიოდით.

### C. გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი

30. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-19 მუხლზე თავის #34-ე ზოგად კომენტარში (11-29 ივლისი 2011) გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა განაცხადა შემდეგი:

“43. ვებგვერდების, ბლოგების ან ინტერნეტზე დაფუძნებული, ელექტრონული ან ინფორმაციის გავრცელების სხვა მსგავსი სისტემის, მათ შორის ამგვარი კომუნიკაციის მხარდამჭერი სისტემების, როგორც არის ინტერნეტ-მომსახურების მიმწოდებლები ან საძიებელი მოწყობილობები, მართვაზე ნებისმიერი შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ეს შეზღუდვები მე-3 ნაწილთან შესაბამისობაშია. დასაშვები შეზღუდვები უნდა იყოს კონკრეტულ შინაარსზე ორიენტირებული; ზოგადი აკრძალვები კონკრეტული ვებ-გვერდების და სისტემების ფუნქციონირებაზე არ შეესაბამება მე-3 პარაგრაფის მოთხოვნებს. ასევე შეუსაბამოა მე-3 პარაგრაფთან გვერდისთვის ან ინფორმაციის გავრცელების სისტემისთვის მასალის გამოქვეყნების აკრძალვა მხოლოდ იმ საფუძველით, რომ ეს შეიძლება მთავრობის ან მთავრობის მიერ შექმნილი პოლიტიკური და სოციალური სისტემის მიმართ კრიტიკული იყოს.

### IV. შედარებითი სამართალი

31. ძალიან რთულია ევროსაბჭოს წევრ ქვეყნებში სამართლებრივი რეგულირების ერთიანი სტანდარტული საფუძვლების იდენტიფიცირება, იმის გათვალისწინებით, რომ ახალი ტექნოლოგიების მკვეთრად ცვალებად კონტექსტში ინტერნეტის მარეგულირებელი კანონმდებლობა გამორჩეულად დინამიური და ფრაგმენტულია. [ადამიანის უფლებათა ევროპული] სასამართლოს მიერ ჩატარებული ოცი წევრი ქვეყნის (ავსტრია, აზერბაიჯანი, ბელგია, ჩეხეთის რესპუბლიკა, ესტონეთი, ფინეთი, საფრანგეთი, გერმანია, ირლანდია, იტალია, ლიტვა, ნიდერლანდები, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, რუსეთი, სლოვენია, ესპანეთი, შვეიცარია და გაერთიანებული სამეფო) კანონმდებლობის კვლევა ავლენს, რომ ინტერნეტზე წვდომის უფლება მიჩნეულია თეორიულად დაცულად კონსტიტუციური გარანტიების საფუძველზე, რომელიც ეხება გამოხატვის თავისუფლებას და იდეებისა და ინფორმაციის მიღების თავისუფლებას. ინტერნეტზე წვდომის უფლება ეროვნული კონსტიტუციებით გარანტირებული ინფორმაციასა და კომუნიკაციის საშუალებებზე წვდომის უფლების თანდაყოლილ ნაწილად მიიჩნევა და მოიცავს ადამიანის უფლებას, მონაწილეობა

მიიღოს ინფორმაციულ საზოგადოებაში და სახელმწიფოთა ვალდებულებას უზრუნველყოს საკუთარი მოქალაქეების გარანტირებული წვდომა ინტერნეტზე. შესაბამისად, გამოხატვის თავისუფლების დაცვის გარანტიებიდან შეიძლება ზოგადად გამომდინარეობდეს, რომ ინტერნეტზე შეუზღუდავი წვდომის უფლება აღიარებული იყოს.

32. 2009 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილებით (#. 2009-58 DC) საფრანგეთის საკონსტიტუციო საბჭომ მაგალითად ნათლად განაცხადა, რომ გამოხატვის თავისუფლება მოიცავდა ინტერნეტზე წვდომის უფლებას. საკონსტიტუციო საბჭომ ასევე განსაზღვრა მთელი რიგი საბაზისო პრინციპები ინტერნეტზე წვდომის შეზღუდვასთან მიმართებით. ონლაინ საკომუნიკაციო მომსახურებაზე წვდომის უფლებაზე შეზღუდვა შეიძლება დაადგინოს მოსამართლემ, სამართლიანი განხილვის შედეგად და ის უნდა იყოს პროპორციული. დაადგინა რა, რომ “1789 წლის დეკლარაციის მე-11 მუხლით გარანტირებული თავისუფლების ბუნების გათვალისწინებით კანონმდებელს არ შეუძლია უფლებამოსილება [შეზღუდოს ან აკრძალოს ინტერნეტზე წვდომა] გადასცეს ადმინისტრაციულ ორგანოს საავტორო უფლებებისა და მომიჯნავე უფლებების მფლობელთა დაცვის მიზნით”, საკონსტიტუციო საბჭომ არაკონსტიტუციურად გამოაცხადა საკანონმდებლო ნორმები, რომელთა თანახმად საავტორო უფლების დარღვევის შემთხვევაში შესაძლებელი იყო ინტერნეტზე წვდომის დაბლოკვა, წინასწარი სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე. მან დაადგინა, რომ წვდომის შეჩერება შეიძლება დადგინდეს მხოლოდ შეჯიბრებითი სასამართლო განხილვის შედეგად, როგორც დამატებითი სასჯელი. აღკვეთის ღონისძიება ან აკრძალვა შესაძლოა დადგინდეს დაუყოვნებელი განცხადებების განმხილველი მოსამართლის მიერ იმის გათვალისწინებით, რომ ისინი “მკაცრად აუცილებელია სადაო უფლების დასაცავად”.

33. რაც შეეხება ინტერნეტში უკანონო შინაარსის განთავსებასთან დაკავშირებით შესაძლო შეზღუდვებს, ევროპული ქვეყნები ირჩევენ მრავალგვარ მიდგომებს და საკანონმდებლო რეგულირებას, დაწყებული ინტერნეტზე წვდომის ინდივიდუალური უფლების შეჩერებით თუ უკანონო შინაარსის მოხსნით, დასრულებული სადაო კონკრეტულ ვებ-გვერდზე წვდომის დაბლოკვით. ევროპული ქვეყნების უმრავლესობაში მცირეწლოვანთა უფლებების დაცვა და მცირეწლოვანთა

სქესობრივი ექსპლუატაციისგან დაცვის მცდელობები წარმოადგენს ბაზისს სადავო ვებ-გვერდებზე წვდომის შემზღუდავი ღონისძიებებისთვის (ამას ადგილი აქვს საფრანგეთში, გერმანიში, შვეიცარიასა და გაერთიანებულ სამეფოში). როდესაც საქმე ეხება ჩვეულებრივ დანაშაულს, წვდომის შემზღუდავი ღონისძიებები განსხვავებული და ნაკლებად მკაცრია ექვს ქვეყანაში (ავსტრია, ესტონეთი, ფინეთი, იტალია, ლიტვა და ნიდერლანდები).

34. რაც შეეხება შეზღუდვების ფარგლებს, ჩადენილი სამართალდარღვევის ბუნებიდან გამომდინარე მიდგომა განსხვავებულია, კერძოდ კი ინტელექტუალური საკუთრების უფლებების წინააღმდეგ მიმართულ სამართალდარღვევებთან მიმართებით და სხვა სამართალდარღვევების შემთხვევაში. ეუთოს ანგარიშის თანახმად, სახელწოდებით “გამოხატვის თავისუფლება ინტერნეტით: ეუთოს მონაწილე ქვეყნებში ინტერნეტში გამოხატვის თავისუფლების, ინფორმაციის თავისუფლად გავრცელებისა და მედიის პლურარიზმის სამართლებრივი რეგულირებისა და პრაქტიკის კვლევა”, არ არსებობს ზოგადი საკანონმდებლო ნორმები ინტერნეტზე წვდომის დაბლოკვასთან დაკავშირებით ავსტრიაში, ჩეხეთის რესპუბლიკაში, გერმანიასა და პოლონეთში. ხუთ ქვეყანაში (ესტონეთი, ფინეთი, ნიდერლანდები, რუსეთი და გაერთიანებული სამეფო) არ არსებობს ნორმა სრულ ბლოკირებაზე, განურჩევლად სამართალდარღვევისა, მაგრამ მოქმედებს სპეციალური ნორმები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია წვდომის ბლოკირება კონკრეტული სამართალდარღვევის შემთხვევაში. ეს მოიცავს ბავშვთა პორნოგრაფიას, რასიზმს, სიძულვილის ენას, ტერორიზმისკენ მოწოდებას და ცილისწამებას.

35. რუსეთში, მიუხედავად იმისა, რომ ინტერნეტზე წვდომის სრული აკრძალვა შეუძლებელია, წვდომაზე შეზღუდვების დაწესება შესაძლებელია კონკრეტული საფუძვლით ფედერალურ კანონმდებლობაზე დაყრდნობით, მაგალითად კონსტიტუციური წყობის, მორალის, ჯანმრთელობის ან სხვათა ლეგიტიმური უფლებებისა და ინტერესების დასაცავად, ან ეროვნული უშიშროებისა და უსაფრთხოების ინტერესებისთვის (ფედერალური კანონი #149-ფზ).

36. იმ ქვეყნებში სადაც არ არსებობს ზოგადი ან კონკრეტული საკანონმდებლო რეგულირება გვერდების დახურვის და/ან მათზე



წვდომის დაბლოკვის შესახებ, დაბლოკვის ღონისძიებების შესახებ განკარგულება შეიძლება მაინც გაიცეს მოსამართლის მიერ, ან განხორციელდეს ნებაყოფლობით.

37. ინტერნეტზე წვდომის ამკრძალავი ღონისძიების გასაჩივრების შესაძლებლობა მჭიდრო კავშირშია ინფორმაციის მიღების და საკუთარი მოსაზრებების გამოხატვის უფლების დაცვის ზოგად გარანტიებთან. აზერბაიჯანში, ბელგიაში, ჩეხეთის რესპუბლიკაში, ლიტვაში, ესპანეთსა და გაერთიანებულ სამეფოში არ არსებობს კონკრეტული ნორმები, რომელიც შექმნიდა ინტერნეტ გვერდზე წვდომის შემზღუდავი ღონისძიების გასაჩივრების საფუძველს. მითითება კეთდება გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლების შესახებ ზოგად კონსტიტუციურ ნორმებზე, ან გაერთიანებული სამეფოს შემთხვევაში შესაძლო სასამართლო გადახედვაზე თუ მომხმარებელი შეძლებს იმის დამტკიცებას, რომ მას საკმარისი ინტერესი აკავშირებს შემზღუდავ ღონისძიებასთან. ესტონეთში კანონმდებლობაში პირდაპირი ნორმებია ინტერნეტში განთავსებულ ინფორმაციაზე წვდომის შემზღუდავი ღონისძიების ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში ან სპეციალიზებულ სააგენტოში, ან პირდაპირ სასამართლოში გასასაჩივრებლად, იმ საჯარო ინფორმაციასთან მიმართებით, რომელზე წვდომაც უნდა უზრუნველყონ სახელმწიფო ორგანოებმა (საჯარო ინფორმაციის შესახებ კანონი).

## კანონმდებლობა

### I. კონვენციის მე-10 მუხლის სავარაუდო დარღვევა

38. განმცხადებელი ჩიოდა მის ინტერნეტ-გვერდზე წვდომის შეუძლებლობის გამო, რაც გამოწვეული იყო მის გვერდთან კავშირის არ მქონე სისხლის სამართლის საქმისწარმოებასთან დაკავშირებით დადგენილი ღონისძიებით. მისი აზრით ეს ღონისძიება უტოლდებოდა მისთვის კონვენციის მე-10 მუხლით გარანტირებული ინფორმაციისა და იდეების მიღებისა და გავრცელების თავისუფლების დარღვევას, აღნიშნულ მუხლში ეს უფლება შემდეგნაირად არის ასახული:

“1. ყველას აქვს უფლება გამოხატვის თავისუფლებისა. ეს უფლება მოიცავს პირის თავისუფლებას, ჰქონდეს შეხედულებები, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია თუ მოსაზრებები საჯარო ხელისუფლების

ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად. ეს მუხლი ხელს არ უშლის სახელმწიფოებს, განახორციელონ რადიომაუწყებლობის, სატელევიზიო ან კინემატოგრაფიულ საწარმოთა ლიცენზირება.

2. ამ თავისუფლებათა განხორციელება, რამდენადაც ის განუყოფელია შესაბამისი ვალდებულებისა და პასუხისმგებლობისაგან, შეიძლება დაექვემდებაროს ისეთ წესებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სანქციებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, უწესრიგობისა თუ დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობის ან მორალის დაცვის მიზნით, სხვათა რეპუტაციის ან უფლებების დასაცავად, საიდუმლოდ მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.”

39. მოპასუხე სახელმწიფოს არ წარმოუდგენია რაიმე წერილობითი შეპასუხება.

#### A. დასაშვებობა

40. სასამართლო ადგენს, რომ საჩივარი არ არის აშკარად დაუსაბუთებელი კონვენციის 35.3.a მიზნებისთვის. ის ასევე აღნიშნავს, რომ [საჩივარი] არ არის დაუშვებელი რაიმე საფუძვლით. შესაბამისად ის დასაშვებად უნდა იქნეს ცნობილი.

#### B. არსებითი მხარე

##### 1. მხარეთა მოსაზრებები

41. განმცხადებელი აცხადებდა, რომ Google Sites-ის დაბლოკვა უტოლდებოდა არაპირდაპირ ცენზურას. ის ამტკიცებდა, რომ დაბლოკვის ბრძანების შედეგები, რამაც მისთვის მისავე ვებ-გვერდზე წვდომის შეუძლებლობა გამოიწვია, მიუხედავად იმისა, რომ მას არანაირი კავშირი არ ქონდა იმ უკანონო შინაარსთან, რამაც Google Sites-თან მიმართებით დაბლოკვის ბრძანების გაცემა გამოიწვია, იყო დასახული მიზნის მისაღწევად არაპროპორციული. ის ასევე განავრცობს, რომ Google Sites-ის ბლოკირებისთვის წარმოებული პროცედურა არ შეიძლება ჩაითვალოს სამართლიანად და მიუკერძოებლად.

42. მოპასუხე სახელმწიფოს არ წარმოუდგენია რაიმე წერილობითი შეპასუხება.

## 2. პროცესში ჩართული მესამე მხარე

43. სასამართლოს პრეცედენტულ სამართალზე მითითებით ასოციაციამ „ღია საზოგადოების მართლმსაჯულების ინიციატივა“ განაცხადა, რომ რადგანაც Google Sites-ი ქმნიდა ჰოსტინგს დიდი მოცულობის მონაცემებისთვის და ინფორმაციისთვის და ფაქტიურად ძირითადი გაზეთებისა თუ ტრადიციული ბიბლიოთეკების ონლაინ-არქივს წარმოადგენდა, სადაო ღონისძიება უტოლდებოდა პუბლიკაციაზე წინასწარი შეზღუდვის დაწესებას. მიუხედავად იმისა, რომ ამ საქმეზე განსახილველი ღონისძიების მიზანი იყო ერთადერთ ვებ-გვერდზე წვდომის ბლოკირება, რომელზეც განთავსებული იყო ათათურქის რეპუტაციის შეურაცხმყოფელი შინაარსი, Google Sites-ზე სრული წვდომა დაიბლოკა, რომელიც თავის მხრივ შეურაცხმყოფელი შინაარსის შემცველი ვებ-გვერდის ჰოსტინგს უზრუნველყოფდა. ამგვარი ღონისძიება, რომელიც ასეთი მოცულობის ინფორმაციაზე წვდომას განუსაზღვრელი ვადით ბლოკავს, წინასწარი შეზღუდვის ანალოგს წარმოადგენდა, ვინაიდან ის ინტერნეტ მომხმარებლებისთვის შეუძლებელს ხდიდა დაბლოკილ შინაარსზე წვდომას განუსაზღვრელი ვადით. ამგვარი შეზღუდვები მნიშვნელოვან საფრთხეს ქმნის და შესაბამისად აუცილებელია [ადამიანის უფლებათა ევროპული] სასამართლოს მხრიდან ყურადღებიანი შესწავლა.

44. ღია საზოგადოების მართლმსაჯულების ინიციატივამ დაამატა, რომ ვებ-გვერდების ჯგუფზე წვდომის ამკრძალავი ბლოკირების ბრძანებები “სტაბილური ცენზურის” საფრთხეს ქმნის. შესაბამისად უნდა მოხდეს ამგვარი ღონისძიებების, როგორც არაპროპორციულის, თავიდან აცილება, სადაც ტექნიკურად შესაძლებელია მხოლოდ შეურაცხყოფის შემცველი ვებ-გვერდთან მიმართებით მოქმედება. ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების მაგალითზე მითითებით, ასოციაციამ ასევე აღნიშნა, რომ განსახილველ საქმეში არსებული შინაარსის მსგავსი ინტერნეტ-შინაარსის შემზღუდავ არცერთ ფართომასშტაბიან ბლოკირებას არ ქონია ოდესმე ადგილი საფრანგეთში, გერმანიასა და გაერთიანებულ სამეფოში.

45. უფრო მეტიც, თურქული სისტემა არ ქმნიდა ადეკვატურ გარანტიებს თვითნებობის წინააღმდეგ; მაგალითად, არ არსებობდა ბლოკირების ბრძანების მოქმედების ქვეშ მყოფი შინაარსის პროვაიდერის ან სხვა გვერდების მფლობელების

შეტყობინების მოთხოვნა. ამასთან, დაბლოკვის შესახებ მრავალი ბრძანება გაიცა იმ ვებ-გვერდებთან მიმართებით, რომელთაც ათასობით მომხმარებელი ყავს, რაიმე გარანტიების გამოყენების გარეშე. თვეობით თუ წლობით დაიბლოკა წვდომა გვერდებზე, მათ შორის YouTube.com-ზე, GeoCities-ზე და Dailymotion-ზე, ასევე Google-ის მრავალ მომსახურებაზე, რამაც მნიშვნელოვანი “სტაბილური ცენზურა” გამოიწვია.

### 3. სასამართლოს შეფასება

#### (a) ჩარევას ქონდა თუ არა ადგილი

46. სასამართლო ადასტურებს, რომ განმცხადებელი ფლობს და მართავს ვებ-გვერდს, რომელსაც ის იყენებს საკუთარი აკადემიური შრომის და სხვადასხვა საკითხებზე საკუთარი მოსაზრებების გამოსაქვეყნებლად. ის ჩიოდა საკუთარ ვებ-გვერდზე წვდომის არქონასთან დაკავშირებით, რაც მომდინარეობდა სისხლის სამართლის საქმისწარმოებიდან, რომელიც მის ვებ-გვერდთან არ იყო დაკავშირებული. მისი აზრით ეს უტოლდებოდა წინასწარ შეზღუდვას, რაც დადგინდა საქმის არსებით განხილვამდე.

47. სასამართლო კვლავ განმარტავს, რომ მე-10 მუხლი არ კრძალავს წინასწარ შეზღუდვებს პუბლიკაციაზე. ეს მომდინარეობს არა მხოლოდ ამ ნორმაში არსებული ტერმინებიდან “პირობები”, “შეზღუდვები”, “პრევენციული” და “პრევენცია”, არამედ ასევე სასამართლოს გადაწყვეტილებებიდან საქმეებზე *სანდები ტაიმზი დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ* (*The Sunday Times v. the United Kingdom* (#. 1) (26 აპრილი, 1979, სერია A #. 30) და *შპს მარკტ ინტერნ ვერლაგი და კლაუს ბეერმანი გერმანიის წინააღმდეგ* (*markt intern Verlag GmbH and Klaus Beermann v. Germany* (20 ნოემბერი, 1989, სერია A #. 165). მეორეს მხრივ, წინასწარი შეზღუდვები საფრთხის მატარებელია და შესაბამისად, სასამართლოს მხრიდან განსაკუთრებული ყურადღებით შესწავლას მოითხოვს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია როდესაც საქმე ეხება პრესას, ვინაიდან ახალი ამბები სათუთი მოვლენაა და მათი გამოქვეყნების გაჭიანურებამ თუნდაც მცირე ვადით, შესაძლოა მას სრულად დაუკარგოს ღირებულება და მის მიმართ ინტერესი. ეს საფრთხე ემუქრება ასევე პუბლიკაციებს, გარდა პერიოდულისა, რომლებიც ეხება აქტუალურ საკითხებს.

48. რაც შეეხება ინტერნეტ-გვერდების მნიშვნელოვნებას გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობაში, სასამართლო

იმეორებს რაც მან საქმეში *სანდეი ტაიმზი დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ* (*The Sunday Times v. the United Kingdom* (#. 1 და 2) (#. 3002/03 და 23676/03, § 27, ECHR 2009), განმარტა:

“ინტერნეტის შესაძლებლობის გათვალისწინებით, განათავსოს და გაავრცელოს დიდი რაოდენობით ინფორმაცია, ის მნიშვნელოვან როლს ასრულებს ახალ ამბებზე საზოგადოების წვდომის უზრუნველყოფაში და ზოგადად ინფორმაციის გავრცელების ხელშეწყობაში.”

49. ეს მსჯელობა წინამდებარე საქმეზეც ვრცელდება. სასამართლო აღნიშნავს, რომ Google Sites-ი არის Google-ის მომსახურება, რომელიც შექმნილია ჯგუფის ფარგლებში ვებ-გვერდების შექმნისა და გაზიარების ხელშესაწყობად და შესაბამისად წარმოადგენს გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობის საშუალებას.

50. ამასთან მიმართებით ის აღნიშნავს რომ მე-10 მუხლი ქმნის გამოხატვის თავისუფლების გარანტიას “ყველასთვის”. მნიშვნელობა არ აქვს დასახული მიზნის ბუნებას, ან იმ როლს რასაც ფიზიკური ან იურიდიული პირები ასრულებენ ამ თავისუფლებით სარგებლობისას (იხილეთ *ჩეთინი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ* (*Çetin and Others v. Turkey*), #. 40153/98 და 40160/98, § 57, ECHR 2003-III (ამონარიდები)). [მე-10 მუხლი] ვრცელდება არა მხოლოდ ინფორმაციის შინაარსზე, არამედ ასევე გავრცელების საშუალებებზე, ვინაიდან ამ უკანასკნელთან მიმართებით გამოყენებული ნებისმიერი შეზღუდვით აუცილებლად ხორციელდება ჩარევა ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების უფლებაში (იხილეთ, *mutatis mutandis*, *უტრონიკ AG შვეიცარიის წინააღმდეგ* (*Autronic AG v. Switzerland*), 22 მაისი, 1990, § 47, სერია A #. 178). შესაბამისად, სასამართლო გამუდმებით იმეორებს, რომ მე-10 მუხლი არა მხოლოდ ინფორმაციის გავრცელების უფლების გარანტია, არამედ ასევე საზოგადოების უფლების, მიიღოს [ინფორმაცია] (იხილეთ *Observer-ი და Guardian-ი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* (*Observer and Guardian v. the United Kingdom*), 26 ნოემბერი, 1991, § 59(b), სერია A #. 216, და *გუერა და სხვები იტალიის წინააღმდეგ* (*Guerra and Others v. Italy*), 19 თებერვალი, 1998, § 53, *გადაწყვეტილებათა და განჩნებათა ანგარიშები* 1998-I).

51. წინამდებარე საქმეში ვებ-გვერდზე წვდომის ბლოკირების შესახებ ღონისძიება მომდინარეობდა დენიზლის სისხლის სამართლის პირველი ინსტანციის სასამართლოს

გადაწყვეტილებიდან. თავდაპირველად სასამართლომ ის მიიღო როგორც პრევენციული ღონისძიება მესამე მხარის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, რომელიც წარმოებდა #5861 კანონის საფუძველზე, რაც კრძალავს ათათურქის ხსოვნის შეურაცხყოფას. თუმცა ადმინისტრაციულმა ორგანომ, რომელიც პასუხისმგებელია ბლოკირების შესახებ ბრძანების აღსრულებაზე, TIB-ი, მოითხოვა, რომ ბრძანების მოქმედება გავრცელებულიყო Google Sites-ზე სრულ წვდომაზე. 2009 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილებით დენიზლის სისხლის სამართლის პირველი ინსტანციის სასამართლომ დააკმაყოფილა ეს მოთხოვნა. ამ ღონისძიების გაუქმების თაობაზე განმცხადებლის მოთხოვნასთან დაკავშირებით დენიზლის სისხლის სამართლის სასამართლომ ძალაში დატოვა ბრძანება, მიიჩნია რა რომ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებულ ვებ-გვერდებზე წვდომის ბლოკირების ერთადერთი საშუალება იყო Google Sites-ზე წვდომის ბლოკირება. შესაბამისად TIB-მა დაბლოკა Google Sites-ის სრულ დომენზე წვდომა და აქედან გამომდინარე არაგანზრახ შეუზღუდა განმცხადებელს საკუთარ ვებ-გვერდზე წვდომა. საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ ამ ღონისძიების შედეგად განმცხადებელს საერთოდ არ შეეძლო საკუთარი ვებ-გვერდით სარგებლობა, განუსაზღვრელი ვადით. ნებისმიერი მისი მცდელობა ესარგებლა [ვებ-გვერდით] წარუმატებელი იყო, სასამართლოს მიერ გაცემული ბლოკირების ბრძანების გამო. შესაბამისად ის უფლებამოსილია ლეგიტიმურად ამტკიცოს, რომ სადაო ღონისძიებამ იმოქმედა ინფორმაციისა და იდეების მიღებისა და გაცემის მის უფლებაზე.

52. საქმის არსს წარმოადგენს სამართალწარმეობის ფარგლებში მიღებული პრევენციული ღონისძიების თანმდევი შედეგი. მიუხედავად იმისა რომ არც Google Sites-ი და არც განმცხადებლის ვებ-გვერდი არ წარმოადგენდა მიმდინარე სამართალწარმეობის საგანს, TIB-მა დაბლოკა მათზე წვდომა დენიზლის სისხლის სამართლის პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ღონისძიების აღსასრულებლად. ღონისძიება ძალაში რჩებოდა განხილვის დღემდე, მიუხედავად იმისა რომ საქმის არსებით მხარეზე გადაწყვეტილება მიღებული იყო და Google Sites-ზე განთავსებული უკანონო შინაარსიც მოხსნილი იყო (#5651 კანონის მე-9 მუხლი). შესაბამისად ის წარმოადგენდა წინასწარ შეზღუდვას,

რადგანაც ამოქმედდა საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

53. სასამართლო მიიჩნევს, რომ მიუხედავად მისი სამართლებრივი საფუძვლისა, ამ ღონისძიებას ექნებოდა ინტერნეტზე წვდომაზე ზეგავლენა და შესაბამისად, წარმოშობდა მოპასუხე სახელმწიფოს პასუხისმგებლობას მე-10 მუხლიდან გამომდინარე (იხილეთ, *mutatis mutandis, Vereinigung demokratischer Soldaten Österreichs* და *გუბი ავსტრიის წინააღმდეგ (Vereinigung demokratischer Soldaten Österreichs and Gubi v. Austria)*, 19 დეკემბერი 1994, § 27, სერია A #. 302).

54. ის ასევე ადგენს, რომ წვდომის ბლოკირების გასაჩივრება წარმოიშვა აკრძალვიდან, რომელიც ამოქმედდა მესამე მხარის ვებ-გვერდზე. Google Sites-ის სრულმა დაბლოკვამ იმოქმედა განმცხადებელზე, რომელიც ფლობდა სხვა ვებ-გვერდს იგივე დომენზე. მართალია ღონისძიება არ წარმოადგენდა სრულ აკრძალვას, არამედ მეტწილად შეზღუდვას ინტერნეტზე წვდომაზე, რასაც ასევე ქონდა განმცხადებლის ვებ-გვერდზე წვდომის ბლოკირების ეფექტი. მიუხედავად ამისა, ის ფაქტი, რომ შეზღუდვის მოქმედება შემოფარგლული იყო, ეს არ აუფერულებს მის მნიშვნელოვნებას, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ინტერნეტი დღეს არის ძირითადი საშუალება, რომლითაც ადამიანები ახორციელებენ თავიანთ გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლებას, უზრუნველყოფს რა ის პოლიტიკურ საკითხებსა და საზოგადო ინტერესებთან დაკავშირებით აქტივობებსა და დისკუსიებში მონაწილეობისთვის აუცილებელ საშუალებებს.

55. შეჯამების სახით სასამართლომ მიიჩნია, რომ სადაო ღონისძიება უტოლდებოდა შეზღუდვას, რომელიც მომდინარეობდა ინტერნეტ-გვერდზე წვდომის დამბლოკავი პრევენციული ბრძანებიდან. ამ უკანასკნელის აღსრულების მიზნით სასამართლომ TIB-ის მოთხოვნით დამატებით ბრძანა Google Sites-ზე წვდომის ბლოკირება, რომელზეც განმცხადებლის ვებ-გვერდის ჰოსტინგი იყო. შესაბამისად, განმცხადებელს აკრძალა საკუთარ ვებ-გვერდზე წვდომა. ეს გარემოებები საკმარისია სასამართლოსთვის იმის დასადგენად, რომ სადაო ღონისძიება უტოლდებოდა “სახელმწიფო ორგანოების მხრიდან ჩარევას” განმცხადებლის გამოხატვის თავისუფლებაზე უფლებაში, რომლის განუყოფელი ნაწილია ინფორმაციისა და იდეების

მიღებისა და გავრცელების თავისუფლება (იხილეთ, *mutatis mutandis*, აიშე *ოზთურქი თურქეთის წინააღმდეგ (Ayşe Öztürk v. Turkey)*, #. 24914/94, § 42, 15 ოქტომბერი, 2002).

56. ამგვარი ჩარევა იწვევს მე-10 მუხლის დარღვევას, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც ის “გათვალისწინებულია კანონით”, ემსახურება 10.2 მუხლში ჩამოთვლილთაგან ერთერთი ლეგიტიმური მიზნის მიღწევას და ამ მიზნების მიღწევა “აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში”.

**(b) გათვალისწინებული იყო თუ არა კანონით**

57. სასამართლო კვლავ აცხადებს, რომ 10.2 მუხლის განმარტებისთვის ჩანაწერი “კანონით გათვალისწინებული” პირველ ყოვლისა მოითხოვს, რომ სადაო ღონისძებისთვის არსებობდეს რაიმე საფუძველი ეროვნულ კანონმდებლობაში; თუმცა, ის ასევე მიუთითებს განსახილველი კანონმდებლობის ხარისხზე, მოითხოვს რა რომ ის იყოს განსახილველი პირისთვის ხელმისაწვდომი და უფრო მეტიც, მას უნდა შეეძლოს, განჭვრიტოს შედეგები და ის უნდა იყოს კანონის უზენაესობის მოთხოვნებთან შესაბამისი (სხვა წყაროებთან ერთად იხილეთ, *დინკი თურქეთის წინააღმდეგ (Dink v. Turkey)*, #. 2668/07, 6102/08, 30079/08, 7072/09 და 7124/09, § 114, 14 სექტემბერი, 2010). სასამართლოს დამკვიდრებული პრეცედენტული სამართლის მიხედვით, წესი “განჭვრეტადია” თუკი ის ფორმულირებულია საკმარისი სიზუსტით, რათა ნებისმიერმა პირმა შეძლოს - საჭიროებისამებრ შესაბამისი კონსულტაციით - მოაწესრიგოს საკუთარი ქცევა (სხვა წყაროებთან ერთად იხილეთ, *RTBF ბელგიის წინააღმდეგ (RTBF v. Belgium)*, #. 50084/06, § 103, ECHR 2011 (ამონარიდები), და *აკსამი თურქეთის წინააღმდეგ (Akçam v. Turkey)*, #. 32964/96, § 87, 30 ოქტომბერი, 2001).

58. წინამდებარე საქმეზე სასამართლო ადგენს, რომ სამართალწარმოების შედეგად ვებ-გვერდზე წვდომის ბლოკირებას გააჩნდა სამართლებრივი საფუძველი, კერძოდ კი #5651 კანონის 8.1 მუხლი. რაც შეეხება იმას აკმაყოფილებდა თუ არა #5651 კანონის 8.1 მუხლი ასევე ხელმისაწვდომობისა და განჭვრეტადობის მოთხოვნებს, განმცხადებელმა განაცხადა, რომ ამ კითხვაზე უარყოფითი პასუხი უნდა გაიცეს, ვინაიდან ნორმა მისი შეფასებით მეტად არაკონკრეტული იყო.



59. სასამართლო მუდმივად ადგენდა, რომ იმისათვის რომ ეროვნულმა კანონმდებლობამ დააკმაყოფილოს ეს მოთხოვნები, ის უნდა უზრუნველყოფდეს სახელმწიფო ორგანოების მხრიდან უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ სამართლებრივი დაცვის საშუალებებს კონვენციით გარანტირებული უფლებებითურთ. ძირითად უფლებებზე ზეგავლენის მქონე შემთხვევებში კანონის უზენაესობის საწინააღმდეგო იქნება, რაც თავის მხრივ კონვენციაში დაცული დემოკრატიული საზოგადოების ერთერთი ძირითადი პრინციპია, აღმასრულებელი ხელისუფლებისთვის იმგვარი სამართლებრივი დისკრეციის მინიჭება, რაც გამოიხატება შეუზღუდავ ძალაუფლებაში. შესაბამისად, კანონმდებლობაში საკმარისი სიზუსტით უნდა იყოს ასახული ნებისმიერი ამგვარი დისკრეციის ფარგლები და [დისკრეციით] სარგებლობის გზები (სხვა წყაროებთან ერთად იხილეთ, *Sunday Times*, ციტირება მაღლა, § 49, და *მაესტრი იტალიის წინააღმდეგ (Maestri v. Italy)* [დიდი პალატა], #. 39748/98, § 30, ECHR 2004-I).

60. განსასაზღვრია დაბლოკვის შესახებ ბრძანების გაცემის დროისთვის არსებობდა თუ არა ნათელი და კონკრეტული წესი, რაც განმცხადებელს ამ საკითხთან მიმართებით საკუთარი ქცევის რეგულირების შესაძლებლობას მისცემდა.

61. სასამართლო ადგენს, რომ #5651 კანონის 8.1 მუხლის თანახმად, მოსამართლე უფლებამოსილია გასცეს ბრძანება “ინტერნეტ პუბლიკაციებზე წვდომის დაბლოკვაზე, როდესაც არსებობს საკმარისი საფუძვლების ვარაუდისთვის, რომ მათი შინაარსი უტოლდება სამართლადარღვევას”. იგივე კანონის მე-2 მუხლში მოცემულია “პუბლიკაციის” ორი განმარტება: „ჭ“ ქვეპარაგრაფის თანახმად “ინტერნეტ პუბლიკაცია (*yayın*) ნიშნავს მონაცემებს, რომელიც შესაძლოა ხელმისაწვდომი იყოს ინტერნეტის მეშვეობით პირთა განუსაზღვრელი წრისთვის”. მაშინ როცა 1-ელ ქვეპარაგრაფში გაცხადებულია, რომ “პუბლიკაცია (*yayın*) ნიშნავს გამოქვეყნებულ მასალას ინტერნეტში”. მიუხედავად იმისა, რომ “პუბლიკაციის” ცნება საკმაოდ ვრცელია და შეიძლება მოიცავდეს ინტერნეტში გამოქვეყნებული ნებისმერი სახის მონაცემებს, ნათელია, რომ ვერც განმცხადებლის ვებ-გვერდი და ვერც Google Sites *per se* ექცევა #5651 კანონის 8.1 მუხლის მოქმედების სფეროში, ვინაიდან მათი შინაარსის

კანონიერება ამ ნორმის მნიშვნელობისთვის, არ წარმოადგენდა წინამდებარე საქმეზე განხილვის საგანს.

62. არც Google Sites-ი და არც განმცხადებლის ვებ-გვერდი არ წარმოადგენდა #5651 კანონის 8.1 მუხლის მიზნებისთვის მიმდინარე სამართალწარმოების საგანს. ეს ნათელია იმ ფაქტიდანაც, რომ აღნიშნულ ნორმაზე მითითება გაკეთდა 2009 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილებაში (იხილეთ მე-10 პარაგრაფი მაღლა), რითაც Google Sites-ის აღიარება მოხდა პასუხისმგებლად მასზე ჰოსტინგის მქონე ვებ-გვერდის შინაარსისთვის. თუმცა, #5651 კანონის მე-4, მე-5 და მე-6 მუხლები, რომლებიც ეხება შინაარსის მომწოდებლის, ჰოსტინგის მომსახურების მომწოდებლისა და წვდომის მომწოდებლის პასუხისმგებლობას, არ მოიცავს დებულებას, რომელიც შეიძლება წვდომის სრული ბლოკირების საფუძველი გამხდარიყო, რის შესახებაც წინამდებარე საქმეზე ბრძანება გაიცა. არც ის დადასტურდა, რომ კანონი უშვებდა მთელი ინტერნეტ-დომენის ბლოკირებას, როგორც არის Google Sites, რომელიც შესაძლებელს ხდის იდეებისა და ინფორმაციის გაცვლას. უფრო მეტიც, საქმის მასალებში არ მოიპოვება რაიმე [მტკიცებულება], რომელიც მიუთითებს რომ #5651 კანონის 5.2 მუხლის შესაბამისად Google Sites-ს შეატყობინეს რომ ის უკანონო შინაარსის ჰოსტინგს ახორციელებდა ან რომ მან უარი განაცხადა შუალედური ღონისძიების მოთხოვნის შესრულებაზე, იმ ვებ-გვერდთან მიმართებით, რომლის თაობაზეც მიმდინარეობდა სისხლის სამართლის საქმის წარმოება.

63. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ #5651 კანონის მე-8 მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით ადმინისტრაციულ ორგანოს (TİB-ს) გადამეტებული უფლებამოსილება ენიჭებოდა თავდაპირველად კონკრეტულ ვებ-გვერდთან მიმართებით გაცემული ბლოკირების შესახებ ბრძანების აღსრულებასთან დაკავშირებით. საქმის გარემოებებიდან ჩანს, რომ TİB-ი უფლებამოსილი იყო, მოეთხოვა ბლოკირების შესახებ ბრძანების მოქმედების ფარგლების გაფართოვება, მიუხედავად იმისა, რომ სადაო ვებ-გვერდისა თუ დომენის წინააღმდეგ არანაირ სამართალწარმოებას არ ქონდა ადგილი და არ სრული ბლოკირების აუცილებლობაც არ დადგენილა.

64. როგორც ზემოთ აღინიშნა (იხილეთ 47-ე პარაგრაფი), სასამართლო მიიჩნევს, რომ ამგვარი წინასწარი შეზღუდვები აუცილებლად შეუსაბამო არ არის კონვენციასთან. თუმცა, საჭიროა

სამართლებრივი ჩარჩო, რომელიც უზრუნველყოფს როგორც მკაცრ კონტროლს აკრძალვის ფარგლებზე, ისე ეფექტიან სასამართლო განხილვას, უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების თავიდან ასაცილებლად (იხილეთ *ასოციაცია ეკინი საფრანგეთის წინააღმდეგ (Association Ekin v. France)*, #. 39288/98, § 58, ECHR 2001-VIII, და, *mutatis mutandis*, *პრავოე დელოს სარედაქციო საბჭო და შტეკელი უკრაინის წინააღმდეგ (Editorial Board of Pravoye Delo and Shtekel v. Ukraine)*, #. 33014/05, § 55, ECHR 2011 (ამონარიდები)). ამგვარი ღონისძიების სასამართლოს მიერ გადასინჯვა, რაც ემყარება განსახილველი კონკურენტული ინტერესების შეფასებას და მათ შორის ბალანსის განსაზღვრას, წარმოუდგენელია თუკი არ არსებობს ჩარჩო, რომლითაც დგინდება ზუსტი და კონკრეტული წესები გამოხატვის თავისუფლებაზე პრევენციული შეზღუდვების დადგენის შესახებ (იხილეთ *RTBF*, ციტირება მაღლა, § 114). სასამართლო ადგენს, რომ როდესაც დენიზლის სისხლის სამართლის პირველი ინსტანციის სასამართლომ #5651 კანონის საფუძველზე დაადგინა Google Sites-ზე ყოველგვარი წვდომის ბლოკირება, ის ფაქტიურად დაეყრდნო TİB-ის რეკომენდაციას, იმის გარკვევის გარეშე, ნაკლებად ფართომშტაბიანი ღონისძიების გატარებით შესაძლებელი იქნებოდა თუ არა უკანონო ვებ-გვერდზე წვდომის ბლოკირება (იხილეთ მე-10 პარაგრაფი).

65. სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ ბლოკირების შესახებ ბრძანების გაუქმების მოთხოვნით წარდგენილ 2009 წლის 1 ივლისის განცხადებაში განმცხადებლის ერთერთი არგუმენტია ის რომ სადაო ღონისძიების მოქმედებისგან სხვა ვებ-გვერდების დასაცავად უნდა შერჩეულიყო ისეთი მეთოდი, რომელის მეშვეობითაც მიუწვდომელი გახდებოდა მხოლოდ უკანონო შინაარსის შემცველი ვებ-გვერდი.

66. თუმცა, არ არსებობს მინიშნება იმის შესახებ, რომ განცხადების განმხილველმა მოსამართლეებმა შეაფასეს სხვადასხვა ინტერესები, კონკრეტულად კი Google Sites-ზე წვდომის სრული ბლოკირების საჭიროება. სასამართლოს აზრით, ეს ხარვეზი იყო #5651 კანონის მე-8 მუხლის ფორმულირების შედეგი, რომლითაც არ იყო განსაზღვრული რაიმე ვალდებულება ეროვნული სასამართლებისთვის, შეესწავლათ Google Sites-ის სრული ბლოკირება აუცილებელი იყო თუ არა კონვენციის მე-10 მუხლთან მიმართებით [ადამიანის უფლებათა ევროპული]

სასამართლოს მიერ დადგენილი კრიტერიუმის ფარგლებში. თუმცა ამგვარი მოვალეობა პირდაპირ მომდინარეობს კონვენციიდან და კონვენციასთან მიმართებით არსებული ინსტიტუტების პრეცედენტული სამართლიდან. გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლოებმა მარტივად დადგენილად მიიჩნიეს, რომ კანონდარღვევის შემცველ ვებ-გვერდებზე წვდომის ბლოკირების ერთადერთი საშუალება იყო Google Sites-ზე ყოველგვარი წვდომის ბლოკირება (იხილეთ მე-8, მე-10 და მე-13 პარაგრაფები მაღლა). თუმცა, [ადამიანის უფლებათა ევროპული] სასამართლოს აზრით, მათ სხვა ელემენტებთან ერთად მხედველობაში უნდა მიეღოთ ის ფაქტი, რომ ასეთი ღონისძიება, რომლითაც დიდი მოცულობის ინფორმაცია მიუწვდომელი გახდებოდა, არსებითად შეზღუდავდა ინტერნეტ-მომხმარებლების უფლებებს.

67. აღნიშნული მსჯელობის და სადაო კანონმდებლობის შესწავლის გათვალისწინებით [ადამიანის უფლებათა ევროპული] სასამართლო ასკვნის, რომ #5651 კანონის მე-8 მუხლის მოქმედების შედეგად განხორციელებული ჩარევა ვერ აკმაყოფილებს კონვენციიდან გამომდინარე განჭვრეტადობის მოთხოვნას და განმცხადებლისთვის არ ხდის ხელმისაწვდომს დაცვის იმ ხარისხს, რაზეც ის უფლებამოსილია დემოკრატიულ საზოგადოებაში კანონის უზენაესობის საფუძველზე. უფრო მეტიც, სადაო ნორმა პირდაპირ კონფლიქტშია კონვენციის მე-10 მუხლის 1-ელი პუნქტის ფორმულირებასთან, რომლის თანახმადაც აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული უფლებები დაცულია “საზღვრების მიუხედავად” (იხილეთ, ამავე საკითხზე, *ასოციაცია ეკინი (Association Ekin)*, ციტირება მაღლა, § 62).

68. სასამართლო ასევე ადგენს, რომ სადაო ღონისძიებას ქონდა თვითნებური მოქმედება და არ შეიძლება ჩაითვალოს, რომ მიმართული იყო კანონდარღვევის შემცველი გვერდის ბლოკირებაზე, ვინაიდან ის გამოიხატა Google Sites-ზე ჰოსტინგის მქონე ყველა ვებ-გვერდების ბლოკირებაში. უფრო მეტიც, ინტერნეტ-გვერდების ბლოკირების სასამართლო გადახედვის პროცედურა არ არის საკმარისი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების თავიდან აცილების კრიტერიუმის დასაკმაყოფილებლად, ვინაიდან ეროვნული კანონმდებლობა არ ადგენს რაიმე გარანტიებს, რათა უზრუნველყოფილი იყოს, რომ

ბლოკირების განკარგულება კონკრეტულ გვერდთან მიმართებით არ გამოიყენება ზოგადი წვდომის ბლოკირების საშუალებად.

69. შესაბამისად, ადგილი ქონდა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევას.

70. ამ დასკვნის გათვალისწინებით, სასამართლო აუცილებლად არ მიიჩნევს იმის შესწავლას, წინამდებარე საქმეზე 10.2 მუხლის სხვა მოთხოვნები შესრულდა თუ არა.

II. კონვენციის მე-6, მე-7 და მე-13 მუხლების და 1-ელი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის სავარაუდო დარღვევა

71. კონვენციის მე-6 და მე-13 მუხლებზე დაყრდნობით განმცხადებელი ჩიოდა, რომ მას არ ქონდა სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალება, რაც მისთვის შესაძლებელს გახდიდა სადაო ღონისძიების სასამართლოს მიერ გადახედვას და სახელმწიფო ორგანოების მხრიდან უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას შეწყვეტდა.

განმცხადებელი ასევე აცხადებდა, რომ დაირღვა დანაშაულისა და შესაბამისი სასჯელის მხოლოდ კანონით განსაზღვრის პრინციპი, რომელიც დაცულია კონვენციის მე-7 მუხლში.

და ბოლოს, 1-ელი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლზე დაყრდნობით ის ასაჩივრებდა მისი განათლების უფლების დარღვევას, ამტკიცებდა რა რომ სადაო აკრძალვით მას შეეზღუდა მისი სადოქტორო ხარისხისთვის სწავლება.

72. კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევის დადგენის გათვალისწინებით (იხილეთ 70-ე პარაგრაფი მაღლა), სასამართლო მიიჩნევს, რომ მან შეისწავლა წინამდებარე საქმის მთავარი სამართლებრივი საკითხი. საქმის ფაქტობრივ გარემოებათა გათვალისწინებით ის არააუცილებლად მიიჩნევს კონვენციის მე-6, მე-7 და მე-13 მუხლთან და 1-ელი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლთან მიმართებით წარმოდგენილი საჩივრების დასაშვებობაზე ან არსებითად განხილვაზე ცალკე მსჯელობას (იხილეთ *რექეპ ქურთი თურქეთის წინააღმდეგ (Recep Kurt v. Turkey)*, #. 23164/09, § 70, 22 ნოემბერი, 2011, და *კამილ უზუნი თურქეთის წინააღმდეგ (Kamil Uzun v. Turkey)*, #. 37410/97, § 64, 10 მაისი, 2007).

### III. კონვენციის 41-ე მუხლის შეფარდება

#### 73. კონვენციის 41-ე მუხლით დადგენილია:

“თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენცია და მისი ოქმები, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი მხარის შიდასახელმწიფოებრივი სასამართლო დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს.”

#### A. ზიანი

74. განმცხადებელი ითხოვდა 10 000 ევროს არამატერიალური ზიანის სანაცვლოდ.

75. მოპასუხე სახელმწიფო არ დაეთანხმა განმცხადებლის საჩივარს.

76. სასამართლომ მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლისთვის 7 500 ევროს მიკუთვნება არამატერიალური ზიანის სანაცვლოდ.

#### B. ხარჯები და დანახარჯები

77. განმცხადებელი ასევე ითხოვდა 3 300 ევროს ეროვნული და [ადამიანის უფლებათა ევროპული] სასამართლოს წინაშე გაწეული ხარჯებისა და დანახარჯებისთვის. ის ამტკიცებდა, რომ მისი საქმის წარდგენას ეროვნულ სასამართლოებში და სტრასბურგის ორგანოების წინაშე საერთო ჯამში ორმოცდარვა საათიანი მუშაობა დასჭირდა, რაც საათში 250 თურქული ლირა ღირდა, სტამბულისა და იზმირის ადვოკატთა გაერთიანების მიერ დადგენილი ფასის მინიმუმი იყო.

78. მოპასუხე სახელმწიფო არ დაეთანხმა ამ ოთხოვნას.

79. [ადამიანის უფლებათა ევროპული] სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით განმცხადებელი უფლებამოსილია მიიღოს ხარჯებისა და დანახარჯების ანაზღაურება მხოლოდ იმ პირობით თუ დაამტკიცებს, რომ ეს იყო რეალური და აუცილებელი და რაოდენობრივად გონივრული. წინამდებარე საქმეზე სასამართლომ არსებულ მასალებზე და პრეცედენტულ სამართალზე დაყრდნობით გონივრულად მიიჩნია განმცხადებლისთვის ყველა დანახარჯის 1000 ევროს ოდენობით ანაზღაურების განსაზღვრა.

### C. საურავი

80. სასამართლოს შესაბამისად მიაჩნია საურავის დადგენა ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის მიხედვით, რასაც დაემატება სამი საპროცენტო ერთეული.

აღნიშნულ საფუძვლებზე დაყრდნობით სასამართლო ერთხმად წყვეტს

1. დასაშვებად ცნოს საჩივარი განმცხადებლის მიერ ინფორმაციის მიღებისა და გაცემის უფლებაში ჩარევის შესახებ;
2. ადგენს, რომ ადგილი ქონდა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევას;
3. ადგენს, რომ კონვენციის მე-6, მე-7 და მე-13 მუხლებთან და 1-ელი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლთან მიმართებით წარმოდგენილი საჩივრების დამოუკიდებლად განხილვა არ არის საჭირო;
4. ადგენს
  - (a) რომ მოპასუხე სახელმწიფო ვალდებულია კონვენციის 44.2 მუხლის თანახმად გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან სამი თვის ვადაში გადაუხადოს განმცხადებელს ქვემოთ მოცემული თანხა თურქულ ლირაში გადახდის მომენტისთვის არსებული კურსით:
    - (i) 7 500 ევრო (შვიდი ათას ხუთასი) არამატერიალური ზიანის სანაცვლოდ და ნებისმიერი გადასახდელი, რაც შეიძლება განისაზღვროს ამ თანხისთვის;
    - (iii) 1 000 ევრო (ათასი ევრო) ხარჯებისა და დანახარჯების სანაცვლოდ და ნებისმიერი გადასახდელი, რაც შეიძლება განისაზღვროს ამ თანხისთვის;
  - (b) რომ ამ სამთვიანი ვადის ამოწურვიდან გადახდამდე პერიოდისთვის უნდა მოხდეს მარტივი საურავის გადახდა ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის მიხედვით, რასაც დაემატება სამი საპროცენტო ერთეული;

5. არ დაკმაყოფილდეს განმცხადებლის დანარჩენი მოთხოვნა სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით.

შესრულებულია ფრანგულ ენაზე და წერილობით გამოქვეყნდა 2012 წლის 18 დეკემბერს, სასამართლოს რეგლამენტის 77.2 და 77.3 მუხლების თანახმად.

სტენლი ნაისმიტი  
სასამართლოს მდივანი

გუიდო რაიმონი  
პრეზიდენტი

კონვენციის 45.2 მუხლისა და სასამართლოს რეგლამენტის 74.2 მუხლის შესაბამისად მოსამართლე პინტო დე ალბუკერკეს განსხვავებული აზრი თან ერთვის გადაწყვეტილებას.

G.RA.

S.H.N.

განსხვავებული მოსაზრებები არ ითარგმნა, თუმცა ინგლისურ და/ან ფრანგულ ენაზე თან ერთვის გადაწყვეტილების ოფიციალურ ვერსიას, რომელიც განთავსებულია [ადამიანის უფლებათა ევროპული] სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მონაცემთა ბაზაში HUDOC.



**© ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2013**

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ოფიციალური ენებია ინგლისური და ფრანგული. წინამდებარე თარგმანი შესრულებულია ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა სატრასტო ფონდის ხელშეწყობით ([www.coe.int/humanrightstrustfund](http://www.coe.int/humanrightstrustfund)). იგი სასამართლოსათვის სავალდებულო ხასიათს არ ატარებს და არც მის ხარისხზე აკისრებს პასუხისმგებლობას. მოცემული დოკუმენტი შეიძლება ჩამოტვირთულ იქნას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს HUDOC სასამართლო პრაქტიკის მონაცემთა ბაზიდან (<http://hudoc.echr.coe.int>) ან ნებისმიერი სხვა მონაცემთა ბაზიდან, რომელთანაც სასამართლომ მოახდინა მისი გაზიარება. დასაშვებია თარგმანის რეპროდუქცირება არაკომერციული მიზნებისათვის იმ პირობით, რომ მოხდება საქმის სრული სახელწოდების ციტირება, მოცემულ საავტორო უფლებების აღნიშვნასა და ადამიანის უფლებათა სატრასტო ფონდზე მითითებით. წინამდებარე თარგმანის ნებისმიერი ნაწილის კომერციული მიზნებით გამოყენების სურვილის შემთხვევაში, გთხოვთ მოგვწეროთ შემდეგ მისამართზე: [publishing@echr.coe.int](mailto:publishing@echr.coe.int).

**© Council of Europe/European Court of Human Rights, 2013**

The official languages of the European Court of Human Rights are English and French. This translation was commissioned with the support of the Human Rights Trust Fund of the Council of Europe ([www.coe.int/humanrightstrustfund](http://www.coe.int/humanrightstrustfund)). It does not bind the Court, nor does the Court take any responsibility for the quality thereof. It may be downloaded from the HUDOC case-law database of the European Court of Human Rights (<http://hudoc.echr.coe.int>) or from any other database with which the Court has shared it. It may be reproduced for non-commercial purposes on condition that the full title of the case is cited, together with the above copyright indication and reference to the Human Rights Trust Fund. If it is intended to use any part of this translation for commercial purposes, please contact [publishing@echr.coe.int](mailto:publishing@echr.coe.int).

**© Conseil de l'Europe/Cour européenne des droits de l'homme, 2013**

Les langues officielles de la Cour européenne des droits de l'homme sont le français et l'anglais. La présente traduction a été effectuée avec le soutien du Fonds fiduciaire pour les droits de l'homme du Conseil de l'Europe ([www.coe.int/humanrightstrustfund](http://www.coe.int/humanrightstrustfund)). Elle ne lie pas la Cour, et celle-ci décline toute responsabilité quant à sa qualité. Elle peut être téléchargée à partir de HUDOC, la base de jurisprudence de la Cour européenne des droits de l'homme (<http://hudoc.echr.coe.int>), ou de toute autre base de données à laquelle HUDOC l'a communiquée. Elle peut être reproduite à des fins non commerciales, sous réserve que le titre de l'affaire soit cité en entier et s'accompagne de l'indication de copyright ci-dessus ainsi que de la référence au Fonds fiduciaire pour les droits de l'homme. Toute personne souhaitant se servir de tout ou partie de la présente traduction à des fins commerciales est invitée à le signaler à l'adresse suivante : [publishing@echr.coe.int](mailto:publishing@echr.coe.int).